

ტექნიკური დავალება

1.1. დოკუმენტაციის შემადგენლობა:

1. საპროექტო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას: საქართველოს კანონის - საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლოატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N255 დადგენილებით და სხვა ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული შესაბამის კლასს განკუთვნილი ობიექტისათვის საჭირო დოკუმენტის პროექტის შემადგენლობით და საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N 41 დადგენილებით დამტკიცებული „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს შესაბამისად (ახალი მშენებლობის შემთხვევაში).

2. ხარჯთაღრიცხვა

ხარჯთაღრიცხვა უნდა მოიცავდეს პროექტის საფინანსო-სახარჯთაღრიცხვო ღირებულებას და მასში გათვალისწინებული უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი (გარდა ტექნიკური ზედამხედველობისა და საექსპერტო მომსახურებისა).

ხარჯთაღრიცხვა დამუშავდეს ლოკალურ-რესურსული მეთოდით და სახარჯთაღრიცხვო ღირებულების განსაზღვრა მოხდეს პროექტირებისას არსებულ მიმდინარე ფასებში სახარჯთაღრიცხვო ნორმების საფუძველზე. ამასთან: ზედნაღები ხარჯები და გეგმური მოგება განისაზღვროს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის N1-1/1463 ბრძანებით დადგენილი ოდენობების ფარგლებში შემსყიდველთან შეთანხმებით;

ხარჯთაღრიცხვაში მითითებულ მასალებზე სასურველია მიეთითოს სტანდარტი, კლასი, სერტიფიკატი და სხვა.

1.2. საპროექტო დავალება (ახალ მშენებლობაზე)

1. მუშა პროექტების კონსტრუქციული ნაწილის დამუშავების საფუძველს უნდა შეადგენდეს არქიტექტურული გადაწყვეტა, ტოპოგრაფიული და საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები. მუშა პროექტების შედგენისას უნდა იხელმძღვანელოთ საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების მიხედვით, ამავე დროს დაცული უნდა იყოს შენობის მდგრადობის, საიმედოობისა და უსაფრთხოების პირობა.

2. არქიტექტურული და კონსტრუქციული ნაწილების გარდა მუშა პროექტი უნდა შეიცავდეს:

- შიგა წყალმომარაგება-კანალიზაციის პროექტს;
 - შიგა ელექტროსამონტაჟო სამუშაოების პროექტს;
 - გათბობის სისტემის პროექტს;
 - სველ წერტილებში ვენტილაციის მოწყობას;
 - სახანძრო სიგნალიზაციის, სუსტი დენების პროექტებს;
 - გარე ქსელების (წყალი, კანალიზაცია, ელმომარაგება, თბოქსელი) პროექტს;
 - ტერიტორიის შემომფარგლავი ღობის პროექტს (საჭიროების შემთხვევაში);
 - ტერიტორიის კეთილმოწყობის პროექტს;
 - ხარჯთაღრიცხვას;
 - მშენებლობის ორგანიზების პროექტს.
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს.

3. შენობაში (დამატებითი კორპუსი) გათვალისწინებული უნდა იქნას შემდეგი სათავსოები:

ა) საკლასო ოთახები;

ბ) სააქტო დარბაზები;

გ) სველი წერტილები მოეწყოს სქესის მიხედვით. ასევე ცალკე მოეწყოს სველი წერტილი მასწავლებლებისათვის.

შენიშვნა: ოთხების/სათავსოების რაოდენობა/ფართი და დამატებითი სათავსოები დაზუსტდება პროექტირების დროს და წინასწარ უნდა შეთანხმდეს შემსყიდველთან.

4. მომსახურების განხორციელებისას ნახაზები, პროექტი, გამოსაყენებელი მასალების ვიზუალურ-ტექნიკური მახასიათებლები (ხარისხი, ფაქტურა, ფერი და სხვა) უნდა შეთანხმდეს შემსყიდველთან.

შენიშვნა: შენობის არქიტექტურა უნდა იყოს არასტანდარტული, თანამედროვე სტილის, რაც უნდა შეთანხმდეს შემსყიდველთან.

5. პროექტი უნდა შეიცავდეს ექსპერტის დასკვნას საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N 41 დადგენილებით დამტკიცებული „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს შესაბამისობაზე.

1.2. საპროექტო დავალება (სრული და ნაწილობრივი რეაბილიტაცია)

სრული რეაბილიტაციის დროს შენობის კონსტრუქციული მდგომარეობის შესაბამისად გათვალისწინებული უნდა იქნას კონსტრუქციული სამუშაოები (საჭიროების შემთხვევაში) და შენობის ყველა ელემენტის რეაბილიტაცია და ტერიტორიის კეთილმოწყობა. ნაწილობრივი რეაბილიტაციის შემთხვევაში საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა, უნდა მოხდეს ჩასატარებელი სარეაბილიტაციო სამუშაოების სახეობების შემსყიდველთან ზეპირი შეთანხმების შემდეგ. ძირითადი სამუშაოები მითითებულია შესყიდვის საგანში, ხოლო სხვა სამუშაოებთან დაკავშირებით დოკუმენტაციის მომზადება მოხდება მხარეების კონსულტაციების შემდეგ პროექტირების დროს.

ზოგადი განსაზღვრებები

საპროექტო დოკუმენტაციის შედგენისას გათვალისწინებული უნდა იქნას მშენებლობაში მიღწეული და დაგროვილი გამოცდილებები, ახალი ტექნოლოგიებისა და მოწყობილობების გამოყენება, ობიექტის ადგილმდებარეობისათვის დამახასიათებელი კლიმატური პირობები. ხარჯთაღრიცხვების შედგენისას საპროექტო დოკუმენტაციის ღირებულება უნდა განისაზღვროს დასაბუთებული კალკულაციებითა და ღირებულებებით.

მომზადებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია სრულ შესაბამისობაში უნდა იყოს „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილებით, „საქართველოს მიერ სხვა ქვეყნების ტექნიკური რეგლამენტების აღიარებისა და მოქმედების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 24 თებერვლის N45 დადგენილებით და „საქართველოს ტერიტორიაზე ტექნიკური ზედამხედველობისა და სამშენებლო სფეროში 1992 წლამდე მოქმედი ნორმების, წესების და ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტების გამოყენების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2010 წლის 18 თებერვლის №1-1/251 ბრძანებით განსაზღვრულ პირობებთან.

შემსყიდველს უნდა წარედგინოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის 5 სრული ეგზემპლარი (ახალი მშენებლობის შემთხვევაში 8 ეგზემპლარი) და ელექტრონული ვერსია. ელექტრონული ვერსია უნდა მოიცავდეს სრულ პროექტს წარმოდგენილს კომპაქტდისკზე, ჩაწერილს Auto Cad ან Archi Cad პროგრამის ციფრული (ელექტრონული) ვერსიის სახით და ხარჯთაღრიცხვას ჩაწერილს Microsoft Office Excel პროგრამის ციფრულ (ელექტრონული) ვერსიის სახით. ასევე სრულ პროექტს ჩაწერილს Adobe Acrobat პროგრამის PDF ფორმატში, ერთი ფაილის მოცულობა არაუმეტეს 6 მგბ-სა.

იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოების განხორციელების დროს საჭირო გახდება პროექტში ცვლილებების შეტანა ან/და აღმოჩნდება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გაუთვალისწინებელი დამატებითი სამუშაოების განხორციელების აუცილებლობა, ამ დამატებითი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ანაზღაურების გარეშე შედგენას/შედგენის ხარჯების ანაზღაურებას პროექტანტი იღებს თავის თავზე.

ამ დავალებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ანგარიშები, გრაფიკული ან სხვა სახის მასალები ეკუთვნის შემსყიდველს და რჩება მის საკუთრებაში.

საჭირო შემთხვევებში შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეიტანოს ცვლილებები საპროექტო დავალებაში – გაზარდოს ან შეამციროს მომსახურების მოცულობა.

პროექტირების პროცესში საპროექტო დავალებით გაუთვალისწინებელი სამუშაოების დაპროექტების საკითხი ზეპირი სახით თანხმდება შემსყიდველთან.

საავტორო ზედამხედველობა

ახალი სკოლის შენობის ან ახალი კორპუსის მშენებლობის შემთვევაში მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს მშენებლობის სამუშაოებზე საავტორო ზედამხედველობა დამატებითი ანაზღაურების გარეშე.